ახალი გენერალი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

2023 წელი 30 აპრილი №4 (8191) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამის 3 თვის შედეგები — გვ2.

22 აპრილი დედამიწის დღეა — გვ2.

მნიშვნელოვანი ცვლილებები თანამშრომლობით იწყება — გვ2.

გამწვანების მორიგი აქცია — გვ2.

შეხვედრები, შეხვედრები... — გვ5.

ინტელექტუალური თამაში „ჩვენი ენა ქართული„ — გვ5.

"ერთი ნაწარმოების ირგვლივ" — გვ5.

ცხოვრება ოჯახის გვცვლიბით — გვ3.

"მამულო, სიცოცხლეო!" — გვ7.

ცვგვზვთხოლი — გვ4.

მეენაბდიშვილები: სიმღერა — ექვსი თაობის თანამგზავრი — გვ7.

ჭაბუკმა ჩოხოსანმა მოჭიდავეებმა კასპში იასპარეზეს — გვ6.

ოფიციალური ქრონიკა

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტებს უმასპინძლეს

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან მიხეილ შაყულაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად მერიაში სტუდენტებს შეხვდა.

შეხვედრაზე სახელმწიფო რწმუნებულმა სტუდენტებს მიულოცა და წარმატებული სასწავლო წელი უსურვა. ამასთან, ხაზი გაუსვა განათლების მნიშვნელობას, ხელმისაწვდომობასა და ამ პროცესში სახელმწიფოს აქტიურ როლს.

„ჭიროთ თქვენს ინიციატივებს, იდეებს და ხელი შევუწყოთ ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო პროექტებს" - აღნიშნა მიხეილ შაყულაშვილმა.

ტარიელ შარიფაშვილის სახელობითი სტიპენდია იყო, რომელიც აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა.

სახელობითი სტიპენდია ტარიელ შარიფაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაარსდა და წარმატებულ სტუდენტებს ენიჭებათ. სტიპენდიის მი-

მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტების წახალისების მიზნით, კასპის მერიის ინიციატივით ერთი სასწავლო სემესტრის ვადით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ და რეგისტრირებულ წარჩინებულ სტუდენტებს ქულათა რაოდენობის რიგითობის მიხედვით სტიპენდია ენიჭებათ.

„თქვენი მოტივაცია და მიზანდასახულობა მნიშვნელოვანია როგორც თქვენი მუნიციპალიტეტისთვის, ასევე ქვეყნისთვის. თქვენ ხართ ის მომავალი თაობა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი უნდა შექმნას და რომლის საწინდარი განათლებაა.

ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუ-

2019 წელს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნითა და კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით დაწესდა.

ტარიელ შარიფაშვილი 1992-1993 წლებში კასპის რაიონის გამგებელი და, ასევე, ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის მეთაური

ზანია ფინანსური, მორალური მხარდაჭერა და წახალისება. ვულოცავ თითოეულ მათგანს, მერია კი ყოველთვის დაუჭერს მხარს ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლებას და მათ განათლებაში ჩადებულ ინვესტიციას - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

მიმდინარე წელს ცარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტები გახდნენ

მიმდინარე წელს ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტები გახდნენ: ანი ოთარაშვილი - ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი.

ლედი ონეზაშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტი.

გიორგი მიგრიაული - ილიას სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი.

ლალი ოსიყმიშვილი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი.

მარიამ ტყემალაძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი.

ტატო ბეჟიტაშვილი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მაგისტრანტი.

გვანცა მამაცაშვილი - ილიას სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი.

თეა დათუნაშვილი - ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამის 3 თვის შედეგები

მიმდინარე წლის 3 თვის განმავლობაში, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში 1 401 ბენეფიციარმა ისარგებლა. დაფინანსების ოდენობამ სამი თვის განმავლობაში 559 559,15 ლარი შეადგინა.

კომპიუტერული ტომოგრაფია, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) კვლევა, კოლონოსკოპია, სცინტიგრაფია, კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია, ემბოლექტომია, ემბოლიზაცია, სისხლძარღვების სტენტირება, შუნტირება, სისხლძარღვების პლასტიკა, რეზექცია, ლიგირება, უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, თირკმლის უკმარისობით (დიალიზი) დაავადებული პაციენტების დახმარების დაფინანსებაზე გაცემულია 168 052 ლარი.

შშმ პირთა დახმარება, შშმ პირების ეტლით, მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარებაზე გაცემულია 100 800 ლარი.

კარდიოქირურგიული ოპერაციის, თვალის ოპერაციის და ავასტინის ინექციის, მაკულის ასაკობრივი მკურნალობის ოპერაციული თანადაფინანსებასა და სიმსივნით დაავადებულ პირთა კვლევებზე, მანიპულაციებსა და პროცედურებზე დაიხარჯა 36 428 ლარი. ონკოლოგიური ავადმყოფის სამედიცინო და მედიკამენტოზური დახმარება, კიბოს წინარე დაავადებით დაავადებულთა ოპერაციული მკურნალობის, კეთილთვისებიან სიმსივნეთა სტაციონარული (მათ შორის დღის სტაციონარი) მკურნალობის თანადაფინანსებაზე კი 28 507 ლარი დაიხარჯა.

გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წლის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამა 100 000 ლარითაა გაზრდილი, რომლის ბიუჯეტი ამჟამად 1 150 000 ლარს შეადგენს.

პროგრამა 35 მუხლითაა განსაზღვრული, მოქალაქეთა მომართვიანობის საფუძველზე კი მუხლების რაოდენობა იზრდება.

წლის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ბიუჯეტს ვზრდით, რათა არც ერთი ბენეფიციარი არ დარჩეს დაფინანსების გარეშე - განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

მნიშვნელოვანი ცვლილებები თანამშრომლობით იწყება

USAID -ის "ძლიერი სოფლის პროგრამასა" და კასპის მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა, რაც მუნიციპალიტეტის და, განსაკუთრებით, მის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე თემების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

USAID-ის "ძლიერი სოფლის პროგრამის" მიზანია ხელი შეუწყოს კასპის მუნიციპალიტეტის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რაც პოზიტიურად აისახება იქ მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფაზე.

თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამა კასპის მუნიციპალიტეტს სრულყოფილი მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება და ამით მხარს დაუჭერს რეგიონის გაძლიერებას, ახალი შესაძლებლობების, სამუშაო ადგილების გაჩენასა და არსებულ და სამომავლო რისკებთან გამკლავებაში.

აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ მისიის ხელმძღვანელი ჯონ პენელი, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე და USAID -ისა და კასპის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, USAID-ის "ძლიერი სოფლის პროგრამა" კასპის მუნიციპალიტეტში თანამშრომლობის აქტიურ ეტაპზე გადავა და დასახული მიზნის მისაღწევად პარტნიორებთან ინტენსიურად იმუშავებს.

22 აპრილი დედამიწის დღეა

22 აპრილს მსოფლიო დედამიწის დღეს აღნიშნავს.

კასპის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდება დედამიწის დღისადმი მიძღვნილი დასუფთავების და გამწვანების ღონისძიებები.

დასუფთავების აქცია ამჯერად ისტორიული ძეგლების მიმდებარედ გაიმართა, რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები ჩაერთნენ.

დასუფთავდა მაღალაანთ კოშკების მისასვლელი და მიმდებარე ტერიტორია.

ღონისძიებები გაიმართა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

შიც. პატარებმა ასფალტზე ხატვის კონკურსი გამართეს, ეზოში ყვავილები და ხეები დარგეს.

22 აპრილი, დედამიწის დღე ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომელიც საქართველოში პირველად 1990 წელს აღინიშნა, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრების ინიციატივით.

გამწვანების მორიგი აქცია

კასპის მუნიციპალიტეტში გამწვანების მორიგი აქცია გაიმართა. მუნიციპალიტეტს ნერგები ამჯერადაც ბუნების მკვლევართა კავშირმა "ორქისმა" ჩამოუტანა. ნერგები მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებსა და საჯარო სკოლებს გადაეცათ.

აქციას შეუერთდა კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი. ბუნების მკვლევართა კავშირი "ორქისი" და კასპის მუნიციპალიტეტის მერია წლებია აქტიურად თანამშრომლობენ.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის შვედეთის მთავრობას ფინანსური უზრუნველყოფისთვის და "ორქისის" ხელმძღვანელებს ჯანსაღი გარემოს შექმნაში აქტიური დახმარებისთვის.

აქციის მიზანია საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და პასუხისმგებლობის გაზრდა.

14 აპრილი - დედა ენის დღე

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიება გაიმართა. გამომსვლელებმა ენის ისტორიაზე, მნიშვნელობასა და მის დაცვაზე ისაუბრეს. ხაზი გაესვა იმასაც, თუ რამდენად მნიშვნელოვანი თარიღია 1978 წლის 14 აპრილი ქართველი ერისთვის. საბერძნეთიდან საკუთარი ლექსით ჩვენი თანამემამულე ემიგრანტი პედაგოგი იზოლდა ბერიანიძე ჩაერთო. მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის წევრებმა მშობლიური ენისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს.

1978 წლის 14 აპრილის ქართული ენის დაცვის მიტინგის მონაწილეებმა: მარინა მენაბდიშვილმა, ლია ზარიძემ, ლია სოზიაშვილმა და ბადრი პატარიძემ იმ დღის ამბები გაიხსენეს.



ღიია 1978 წლის 14 აპრილი ქართველი ერისთვის. საბერძნეთიდან საკუთარი ლექსით ჩვენი თანამემამულე ემიგრანტი პედაგოგი იზოლდა ბერიანიძე ჩაერთო. მოსწავლეკასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სიმღერისა და გალობის წრის წევრებმა შეასრულეს „შენ ხარ ვენახი" და ღვთისმშობლის საგალობელი.

34 წელი გავიდა...

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 34 წელი გავიდა. ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში შეიკრიბნენ.

გაიხსენეს და პატივი მიაგეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ტრაგიკულად დაღუპულებს. მერაბ კოსტავას ბიუსტი ყვავილებით შეამკეს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ცხოლო ოქროს გვცვლიებით

ოპერა "ნორმა" ბოლონიის კომუნალეს თეატრში, იმღერა პოლიონეს პარტია

თბილისში, ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩაზე, კონსერვატორიის შენობა, ალბათ, ყველაზე მეტად, მოზუზუნე ფუტკრებით გადავსებულ სკას წააგავს. მეტადრე, მისაღები გამოცდების დღეებში, როცა მისი მოჩუქურთმებული კარი სულ ღიაა, ჭეშმარიტ მუსიკაზე მეოცნებე ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა ლამის ანჯამებიდან ჩამოხსნან. მართლაც, სკაში საფრენ ღიობს ჩამოგავს. ჰო, სამუსიკო დაწესებულების მოღიავებული ფანჯრებიდან გამოჭრილი აბიტურიენტების მღერა-დაკვრის ხმოვანი გამები ერთბაშად ეფინება, ავსებს ქუჩის სივრცეს და გამვლელის ყურთასმენას უნებურად ხვდება, იზიდავს და იპყრობს. აი, მელომანი კი გონების თვალით თითქოს ხედავს კიდეც, რა ხდება იქ, კონსერვატორიის სართულებზე, დიდ დარბაზში, სამეცადინო-სასწავლო კაბინეტებში...

აგერ, შენობის ერთ ფლიგელში ვოკალის განხრის აბიტურიენტები შეკრებილან, მეორეში საფორტეპიანოს განყოფილებისას მოუყრიათ თავი. ვრცელი ფოიეს კუთხეში დიდი, ძველი, დახვეწილი სტილით გაწყობილი როიალი დგას. არადა, დაკვრის მსურველი არავინ ჩანს. ანდა, რა დროს კლავიშებთან მავანის შეთამამებაა. ყველამ იცის, საგამოცდო სიაში მერამდენეა და საკუთარი გვარის გამოცხადებას განცდით მოელის...

მაგრამ, არა, აგერ, მოხდენილი აღნაგობისა და პირმრგვალი სახის ჭაბუკი გამოჩნდა კონსერვატორიის მთავარ კართან. მამამ მიაცილა და ზღურბლთან წამით შემდგარი, მხარზე ხელის დადებით გაამხნევა:

— მიშიკო, შენებურად! ჩვენ რომ გვსურს, ყველაფერი ისე მოხდება!

ჭაბუკმა ფოიეში გავლისას ისევ ეულად მდგარ როიალს გახედა. ვერც მოთვლის, რამდენჯერ მიჯდომია და მარტონი დარჩენილან — ის და "ბებერი" საკრავიერი (წელიწადნახევრის განმავლობაში კონსერვატორიასთანავე არსებულ ექსპერიმენტულ სკოლაში მეცადინეობისას). ახლაც მოეცალა დაკვრის სურვილი. ინსტრუმენტთან მივიდა, ნელა გახსნა და პირველი აკორდები აიღო. მის გარშემო მსმენელთა ჯგუფი თანდათან ჩამოდგა და შეიკრა.

— საფორტეპიანო განხრაზე ჩაბარება გადაწყვიტე?

— ჰკითხა დედაქალაქელმა სათვალიანმა ჭაბუკმა, რომელსაც, ალბათ, პატარაობიდანვე "ბეთჰოვენას" ეძახდნენ და ახლა კი გულმა რეჩხი უყო, — "პროვინციიდან ჩამოსული ბიჭი", რომელიც მომღერლობას აპირებდა, ისეთი მგზნებარებითა და ცეცხლოვანებით უკრავდა, მასზე უკეთესი საგამოცდო შეფასების მიღება აშკარად გაუჭირდებოდა...

— ო, არა, ჩემო კარგო, ჩემი არჩევანი უცვლელია, მხოლოდ — ვოკალი!

— მერედა, სიმღერაც ასე კარგად გეხერხება?! საიდან ხარ? — უფრო დაინტერესდა ჩვენი "ბეთჰოვენა".

— კასპიდან. ჩემი ქალაქის სამუსიკო სკოლაში ვოკალში მამეცადინებდა მაესტრო გივი ბახტაძე. აი, სანოტო სამყაროს ჯადოსნური გასაღები კი პედაგოგმა ლეილა თათანაშვილმა მომცა.

... აბა, მაშინ, ოცდამეერთე საუკუნის საწყის წლებში, ეს ახალგაზრდები კი არა, თვითონ გამომცდელი სპეციალისტები და პედაგოგებიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის ისტორიაში ახალი ფურცელი ივსებოდა და მასზე ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა მსოფლიო სახელოვნებო დონის მომღერალი-ტენორის ვინაობა: მიხეილ შეშაბერიძე!

***

კასპის სამუსიკო სკოლა არსებობის 62 წელს ითვლის (გაიხსნა 1961 წლის სექტემბერში). ექვს ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში თაობები შეენაცვლნენ ერთმანეთს მის პედაგოგიურ კოლექტივში. პირველმკვალავი მასწავლებლების ჯგუფიდან, მახლას, აღარავის შემორჩენილა... ახლანდელთაგან ყველაზე ხანგრძლივი პედაგოგიური სტაჟი — 47 წელი — გააჩნია სკოლის ამაგდარ პედაგოგს, ლეილა თათანაშვილს (ასევე, სვეტა ლომსაძეს).

ქ. თბილისის მე-12 სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა ქალიშვილმა 1976 წელს დაიწყო მუშაობა კასპში. და დღემდე აქაა. ამიტომ ასეთი განსაზღვრება ("მუშაობა") ვერ ითავსებს მთლიან არსს მისი მუსიკალურ-სახელოვნებო საქმიანობისას, რადგანაც ესაა ქალბატონი ლეილას მთელი ცხოვრების პანორამული ყოფა; უმთავრესი პიროვნული საქმე, რასაც მიუძღვნა საკუთარი გული და გონი; მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-დაფრთიანების დედაშვილური ვალი, რისი აღსრულებაც ვერ გამოიღებს ხეკეთილის ფესვსა და ნაყოფს მადლიერებისა, თუ ასეთ დროს "სისხლის დონორი" თვითონ არ გაუხდი თავს.

***

მისაბაძია, შესაშურია და ლამის გასაკვირველიც მისეული ენერგია და მონდომება. ახალგაზრდულ წლებში, დედაქალაქსა და ლეხურისპირა ქალაქს შორის, ყოველდღიურად საგარეუბნო მატარებლით მიმოდიოდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ სოფელ დოესში დაბრუნდა და ახლა კასპი-დოესის გზაზე ათობით კილომეტრს კეცავს დილა-საღამოხანს, კვირაში ხუთ-ექვს დღეს. უკვე წლების განმავლობაში აქამდე უცვლელია მისი საგზაო რეჟიმი. დასვენება? — გვეუბნება, რომ ამასაც ასწრებს. მოწაფეთა მეცადინეობისას რამდენიმე წუთიან "მუსიკალურ პაუზას" იწყობს, როცა სასწავლო ოთახში თავს მარტო დაიგულებს და საყვარელი კომპოზიტორების რჩეულ მელოდიებს ასრულებს, უკრავს, ანუ, როცა თვითონაა შემსრულებელიცა და მსმენელიც.

ასეთ დროს ის თითქოს ყოფილ კოლეგებსაც ესაუბრება, თითქოს მათ ხსოვნასაც უძღვნის სოლონომერს. აქამდე მოსდევს და ანუგეშებს ის უდიდესი გულისხმიერება, ახალბედა პედაგოგს რომ მიაგებეს სკოლაში მისვლისას მისმა საამაყო პირველმა დირექტორმა ნატა ჯიბლაძემ და უფროსმა კოლეგებმა — მანანა სოზიაშვილმა, ცირა მუხიგულაშვილმა, დარეჯან კაპანაძემ და სხვებმა. რა საოცარია, წინა საუკუნიდან გადმოყოლილი მათეული დიდი სითბო და სიყვარული ახლაც გაუხუნარია. ანდა, როგორი სანეტაროა იმ წლების გახსენება, როცა სკოლისავე "ტრიოში" მღეროდა მაია კარიჭაშვილთან და მანანა სოზიაშვილთან ერთად; როცა საგასტროლო ფესტივალებში გამოდიოდა კასპის მომღერალთა თითქმის 80-წევრიან გუნდში!

ის ხელოვანთა ოჯახიდან არის გამოსული. მამა ხელმარჯვე კაცი იყო, დახვეწილი გემოვნების მეავეჯე, რომლის ნახელავი სახელოვნებო ნიმუშს უტოლდებოდა. დედა ნიჭს ხატვაში ავლენდა. თანაც, ლამაზად კერავდა. მას ვაჟიშვილმა მიბაძა და პროფესიონალი ფერმწერი გახდა. თეიმურაზ თათანაშვილი დღეს თბილისში ცხოვრობს, ის არაერთი გამოფენის მონაწილეა.

პატარა ლეილას მუსიკოსობა განაპირობა დედის, ნადია ვალიშვილის, უდიდესმა სურვილმა. ცხრა-ათი წლისა იქნებოდა, დედობრივი გავლენის ფრთები მოახვია, ჯერ ერთ სამუსიკო სკოლაში მიიყვანა, მერე — სხვაში, სადაც გოგონა პირდაპირ მესამე კლასში დასვეს.

ცხადია, დღემდე მადლიერია თავისი პედაგოგებისა. ასეთ დროს ასახელებს, უპირველესად, ქალბატონ სულიკო რევიას, შემდეგ — ლია შანშიაშვილს, ნოდარ ნაკაიძეს...

ერთ დროს როგორც ისინი მასზე აღფრთოვანებით საუბრობდნენ, ახლა თვითონაც არ დაიღლება და არ მოსწყინდება თავისი ყოჩაღი, მუსიკაზე გულმხურვალედ, თანამედროვე თინეიჯერებისათვის დამახასიათებელი გატაცებით შეყვარებული შეგირდების ჩამოთვლით:

ნიკოლოზ ედიშერაშვილი, ელენე სალხინაშვილი, ბარბარე მამულაშვილი, ნატალი ტყემალაძე, ნიტა გზირიშვილი, ბარბარე დარახველიძე...

ახლა ისინი, ვინც ჰყოლია და ცხოვრების გზაზე ფიანდაზად სახელოვნებო მადლი გაუყოლებია? — ბევრი იყვნენ, ბევრნი, ბევრზე მეტი:

მათ სახელებსაც სიამოვნებითა და შინაგანი სიამაყით ჩამოგითვლით:

ნანა კვერცხიშვილი, ნინო მაზმიშვილი, მაია ჟივიძე, ცოტნე სვანიძე, ნინო ბეგლარაშვილი, ნიკოლოზ ნონიაშვილი, ანა-მარია ნონიაშვილი, თამარ საჩალელი, დები ნინო და ნაია სისაურები...

***

საქართველოში ნებისმიერი ქალაქის სამუსიკო სკოლა იამაყებდა მსოფლიო მასშტაბით ისეთი პოპულარული ტენორის გამოზრდით, როგორიც მიხეილ შეშაბერიძეა, ვინც 2007 წლიდან იტალიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, რომლის შემოქმედება გადატვირთულია ევროპის უდიდესი ქალაქების ცნობილი თეატრების სცენებზე დიდი კომპოზიტორების ნაწარმოებებში წამყვანი პარტიების შესრულებით, ვისი საკონცერტო-საგასტროლო პროგრამა წინასწარაა დაგეგმილი ორი-სამი წლით.

ქალბატონი ლეილა იხსენებს, რომ კასპის შვიდწლედში სწავლისას მომავალ ვარსკვლავს ორი წლის განმავლობაში ხელდასმულობდა და ასეთ ფაქტსაც აკონკრეტებს:

- ნიჭიერებით გამორჩეულმა მოსწავლემ ჩვენთან სწავლება მერვე კლასშიც გააგრძელა, საგანგებოდ მისთვის შედგენილი გართულებული პროგრამით (გამონაკლისი ასეთი წესი იმ პერიოდში მოქმედებდა)...

მერე კი, ათითხუთმეტი წლის შემდეგ, როცა მიხეილ შეშაბერიძემ ჯუზეპე ვერდის ოპერაში ოტელოს მთავარი როლი განასახიერა და ყველაზე ახალგაზრდა შემსრულებელი შეიქნა მისი დადგმის ისტორიაში, თანაც, მოხვდა მსოფლიოს საუკეთესო სოლისტების რეიტინგში, მან პირველად მოახერხა საქართველოში საგასტროლო სტუმრობა და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გამოსვლა. აი, მაშინ იყო, რომ მან კონცერტზე დასასწრებად საგანგებოდ მიიპატიჟა კასპელი პედაგოგების ჯგუფი ქალაქის პირველი საშუალო და სამუსიკო სკოლებიდან. აი, ქალბატონი ლეილა თათანაშვილი როდის იყო ცხოვრებაში ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ამაყი!

— ლეილა მასწავლებელო, თქვენს მიერ ნასწავლი ნოტებით, აი, სადამდე მოვედი! — ეს კი მადლიერი შეგირდისაგან მოსმენილი უდიდესი კომპლიმენტი!

ბოლოსიტყვაობის მაგიერ:

"კალიარის ოპერის თეატრში შედგება ჩემი დებიუტი უ. ჯორდანოს ოპერაში "ანდრე შენიე". ეს დებიუტი ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო, რადგან ამ ტრანსცენდენტალური პარტიის სწავლა კვირაზე ნაკლებ დროში უნდა მომესწრო. ამ რთულ პერიოდს ჩემი ძვირფასი კოლეგები მიმშვენებდნენ! წარმატებები ყველას." მიშა შეშაბერიძე.

ცვლა

გაზაფხულის თვეებში ბუნებრივი განახლების გამაფერები ერთნაირი სიხალისით აღავსებს სასკოლო დაწესებულებების აღსაზრდელებს, ხოლო მათ პედაგოგ-აღმზრდელებს შინაგანი ენერგიით, რაც მთლიან სააღმზრდელო პროცესს რუტინულსა და მოსაბეზრებელს კი არ ხდის, ახლებური მიდგომებითა და ხერხებით გამოარჩევს, უამრავი გონებრივად განმავითარებელი აქტივობით ამდიდრებს.

ქვემოთ ამჯერად მხოლოდ ერთი – ქ. კასპის მეხუთე საბავშვო ბაღის (გამგე ლალი მილაძე) მაგალითზე მოგითხრობთ წლევანდელი მარტ-აპრილის განმავლობაში ჩატარებული აქტივობების შესახებ:

✦ მარიამ პაპაშვილი – ფსიქოლოგი:

– აქტივობის დროს, რომლის თემა იყო "ფერადი სამყარო", ხოლო მიზანი ბუნებაში არსებული ფერების გაცნობა ბავშვებისათვის, საჭირო რესურსად გამოვიყენეთ ნაირფერი პირამიდა, ბურთები, ბარათები, ჩხირები, ერთჯერადი თეფშები, ასევე, გუაშის საღებავი და ფუნჯები (4-წლიანთა ჯგუფი, 14 ბავშვი). ვისაუბრეთ სამყაროში არსებულ ფერებზე. განვავრცეთ, როგორი ემოციის მქონე ადამიანს უყვარს წითელი ფერი და როგორისას – სხვა. ავაწყეთ ფერადი პირამიდა. ბავშვებს ვთხოვე, მოეფიქრებინათ წითელი ფერის ხილი, მწვანე ფერის ბოსტნეული და ა. შ. აქტივობის საინტერესო მონაკვეთი იყო, ასევე, ფერადი ემოციები, რის დროსაც ვთხოვე ემოციების გამოხატვა ფერების მიხედვით. შევთავაზე არტთერაპია (გუაშით ცისარტყელის დახატვა), რა დროსაც ვითარდება ნატიფი მოტორიკა. დასასრულს გამოვიყენეთ მხიარული ენერჯაიზერი (შეჯიბრება ბურთებით) ... პატარების აქტივობებში გამოვლინდა აქტიური და მორცხვი ბავშვების ჯგუფები, ამიტომ მაქსიმალურად შევეცადე მეორე ჯგუფიდან თითოეულის ჩართვას საერთო აქტივობაში. საბოლოოდ, ჩვენი საერთო მცდელობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

✦ მაია ბაიდაური – აღმზრდელი (5-წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი):

– როლური აქტივობის კურიკულუმი. ესწრებოდა 17 აღსაზრდელი. თემა "ტრანსპორტი". მიზანი – ბავშვები გაეცნენ და ისაუბრეს ტრანსპორტის შესახებ, დაჯგუფეს და განასხვავეს სახეობათა, საჭიროებისა და სისწრაფის მიხედვით. გამართეს მატარებლობანა, ავტომობილი ატარეს დასახლებულ პუნქტში და გამოიჩინეს თავაზიანი მძღოლობა; მოძრავი აქტივობისას, ასევე გახდნენ მენავეები და პილოტები (თასში ჩასხმულ წყალში აცურავეს ქაღალდისა და კაკლის ნაჭუჭითა და პლასტელინით დამზადებული ნავები, ჰაერში გაუშვეს ქაღალდის თვითმფრინავები).

✦ მაია მაღლაფერიძე – აღმზრდელი (4-წლიანთა ჯგუფი, 20 ბავშვი, ღია აქტივობა თემაზე "შესწავლილი მასალის გამეორება"):

– გამოყენებული იქნა დოლურა. მასზე აღნიშნული იყო შესწავლილი მასალის დასათაურებები. ბზრიალას ისარი დატრიალებისას რომელთანაც გაჩერდებოდა, საუბარიც იმ თემაზე წარიმართებოდა. მაგალითად, "მუსიკაზე" ბავშვებმა იმღერეს გაზაფხულზე, შეასრულეს სახალისო რითმული მოძრაობები; "გარემოს გაცნობის" დროს დაასახელეს წელიწადის დროები, შეადგინეს ამინდის კალენდარი, ქოთანში მცენარე გადარგეს და ა. შ.; "ელმათემატიკაზე" გაჯიბრდნენ ციფრების სწორად დასაწყობად, გეომეტრიული ფიგურების ამოცნობაში, გაიხსენეს სიდიდეები, გადააწყეს და დათვალეს ფერადი კუბები; "წიგნიერების" აქტივობაში დაასახელეს ნაცნობი ზღაპრები და ჩამოთვალეს მათი პერსონაჟები, თქვეს ლექსები სამშობლოზე, გაზაფხულის მახარობელ ყვავილებზე; ზუსტად და თანმიმდევრობით ჩამოთვალეს გარეული და შინაური ცხოველები, ფრინველები, დაასახელეს მათი საკვები.

პატარებში მეტი ხალისი და დადებითი ემოციები გამოიწვია გამოცანების გამოცნობამ. შეგრძნებებსა და ემოციებზე საუბრისას გამოვიყენე "ჯადოსნური ტომარა" და ბავშვებმა ხელის შეხებით ამოიცნეს საგნები. ემოციური სახეები ააწყეს გამოჭრილი

მასალით. გასაბერი ბუშტებით ხატვის მეთოდურ დავალებასაც ადვილად გაართვეს თავი,. შემდეგ აასხეს ფერადოვანი სამაჯურები დედიკოებისათვის. სულ ბოლოს კი მხიარული შეჯიბრება მოვუწყე მუსიკის თანხლებით: "ვინ უფრო სწრაფად მოაგროვებს ფერად რგოლებს".

აქტივობა ჩატარდა უდიდესი ხალისით. ბავშვები დავაჯილდოვე სტიკერებით და შევაქე ყველა.

✦ თინათინ თინიკაშვილი (სასკოლო მზაობის ჯგუფი),

თამარ ნიპარიშვილი (5-წლიანთა ჯგუფი),

მაია მაღლაფერიძე (4-წლიანთა ჯგუფი):

წლევანდელი "დედის დღისადმი" მიძღვნილი ერთობლივი ღონისძიების დროს ბაღის დარბაზში ბავშვებმა წარადგინეს ხელნაკეთი ნამუშევრები, რომლებიც საგანგებოდ მოამზადეს საყვარელი დედიკოებისათვის. 4-წლიანებმა შეასრულეს სიმღერა "დედა–დედიკო, ჩემო ლამაზო!" 5-წლიანებმა – "დედა" (ემილიას კლიპიდან), ხოლო უფროსი ასაკის ჯგუფის აღსაზრდელებმა ენკი-ბენკის კლიპიდან. ბოლოს კი ყველამ ერთად იმღერეს "ია-ია ლურჯთვალა" და იცეკვეს.

გადავიღეთ ერთობლივი სამახსოვრო ფოტოებიც.

აქტივობა შეფასდა დადებითად.

***

22 აპრილს მთელ მსოფლიოში ერთერთ ყველაზე მასშტაბურ გარემოსდაცვით ღონისძიებას ("დედამიწის დღე") შეუერთდა ჩვენი ბაღიც. მისი აღსაზრდელებისათვის ეს აქტივობა საინტერესოდ წარიმართა: ბავშვები გავიყვანეთ საბავშვო ბაღის ეზოში და გადავრგეთ ყვავილები და რამდენიმე ხის ნერგი. მოვახატინეთ ასფალტი და ლამაზად გავაფერადებინეთ. ავუხსენით, რას ნიშნავდა და ემსახურებოდა ჩვენი აქტივობა, ვესაუბრეთ, რომ ადამიანთა საცხოვრებელი ადგილის სისუფთავის დაცვა ყველას პირადი მოვალეობაა, დიდისაც და პატარისაც, გარემო ჩვენი საერთო ბინაა.

✦ თიკო გაბოძე – ლოგოპედი (სკოლამდელი ჯგუფი, 20 ბავშვი):

– თემა: "ბგერების რიტმული გავარჯიშება და ემოციები". აქტივობის დაწყებამდე მოხდა საამისო საქმიანობის მოკლე მიმოხილვა, რომ ლოგოპედია ემსახურება მეტყველების გამართულობას, სიტყვების სწორად და ლამაზად გამოთქმას, მისი ძირითადი მიმართულება არის ენობრივი და საარტიკულაციო ვარჯიშები...

აქტივობისას გამოჩნდა ბავშვების კოგნიტური უნარების განვითარების სფერო. ისინი კარგად ფლობენ სხვადასხვა ფორმით გამოხატულ ენის ვარჯიშს, ასევე, ცხვირით ჩასუნთქვა-ამოსუნთქვასა და რიტმულ ჟღერადობას. კარგად ანსხვავებენ წვიმის წვეთების ხმას, გულისცემის რიტმს და სხვ.

შემდეგი თემა იყო "ემოციები". მათ დაასახელეს ოთხი ფორმა: შიში, ბრაზი, ღიმილი და მოწყენა. განასახიერეს თითოეული მათგანი, რაშიც დავიხმარეთ პოსტერებზე გამოხატული ემოციური ფორმები.

ბავშვები ჩაერთვნენ განმავითარებელ თამაშში, რაც მიმართული იყო გონებრივი განვითარებისაკენ. გამოიყენეს ბარათები და აპლიკაციები. მათი რიტმული ვარჯიში მუსიკის თანხლებით განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ნატიფი მოტორიკის გამოყენებით.

მთლიანი აქტივობა შეფასდა დადებითად.

✦ თამუნა ნიპარიშვილი – აღმზრდელი (5-წლიანთა ჯგუფი, 22 ბავშვი):

– აქტივობის თემაა ზღაპარი "კომბლეს" ინსცენირება და როლური თამაში; მიზანი – აღსაზრდელების ჰოლისტური განვითარება. მეტყველების, მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარების განვითარება, რიტმის შეგრძნება და აღქმა; მიმდინარეობა – აღმზრდელის მიერ მოწყობილია ფიზიკური გარემო (სცენაზე ჩანს კომბლეს სახლი, ტყე, ხეები, სოკოები). აღმზრდელი იწყებს ზღაპრის თხრობას, ხოლო როდესაც უკვე მოქმედება ვითარდება, აღსაზრდელები საკუთარი სურვილით შერჩეულ როლებს თამაშობენ; აი, ანნო მელაკუდაა, გიორგი – დათვი, სანდრო – მგელი, ხოლო გიორგის კომბლეობა გადაუწყვეტია. გამოდის, რომ დანარჩენ აღსაზრდელებს ცხვრების როლი მოურგიათ. ასეცაა, ისინი საკუთარი ინტერპრეტაციით ასრულებენ ზღაპრის გმირების როლებს, საუბრობენ და ზღაპარს ყვებიან თავიანთთვის გასაგები ენით. ამასთან, ამ ყველაფერს თან ახლავს სიმღერები: "ერთად ცხოვრობს ერთ ფერმაში", "კომბლეს სიმღერა", "მელაკუდას სიმღერა", "დათუნია დრუნჩასა" და ცეკვები, რომლებიც აღმზრდელის დახმარებით სრულდება.

აი, ასე, აღსაზრდელები ზღაპრის თხრობას მხიარული მუსიკალური ნომრით, ცეკვა-სიმღერით (სიმღერა "მხიარული ფერმა") ამთავრებენ.

შედეგი? – ის, ცხადია, ნათელია. ამრიგად, მიზანი, რომელსაც ისახავდა აღნიშნული კურიკულუმი, მიღწეულია. ჩვენმა აღსაზრდელებმა შეძლეს აღნიშნული ზღაპრის გადმოცემა საკუთარი წარმოსახვითა და ემოციებით, ანუ, შექმნეს მუსიკალური მინისპექტაკლი "კომბლე".

✦ თინათინ თინიკაშვილი – აღმზრდელი (6-წლიანთა ჯგუფი, 27 ბავშვი):

– ღია საჩვენებელი აქტივობის თემა: "მათემატიკური უნარჩვევების განმტკიცება, ელემენტარული მათემატიკის შესწავლა".

აქტივობა დავიწყე მცირე ინფორმაციით, თუ რა არის მათემატიკა და რას შეისწავლის იგი. დავითვალეთ 10-ის ფარგლებში, მერე – უკუთვლით. ვისაუბრეთ კენტ და ლუწ რიცხვებზე.

შემდეგ აქტივობაში ("აბა, გამოიცანი, რა რიცხვი ჩავიფიქრე") დამალობანას პრინციპი გამოვიყენე და ბავშვებმა აქაც იაქტიურეს. დადგა ამოცანების ჯერი, ანუ პირობას ვკითხულობდი, ისინი კი პასუხს წერდნენ ფურცელზე რგოლების, ან ნებისმიერი ფიგურების მეშვეობით. ეს აქტივობაც დამაკმაყოფილებელი იყო ჩემთვის.

სურათის აღწერისას უნდა გამოეცნოთ რიცხვი და მოეძებნათ მისი შესაბამისი რაოდენობის ფიგურა. მორიგი, რითმული, აქტივობის მიზანი იყო ნატიფი მოტორიკის განვითარება. საერთო აქტივობა დავასრულე მუსიკალური ნომრით "მხიარული რიცხვები".

შეხვედრები, შეხვედრები...

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 11 აპრილს ჩატარდა, "დედაენის" დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა. ამასთან დაკავშირებით მოეწყო მუზეუმის ფონდებსა და ოჯახებში დაცული შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანისა" და ჩვენი მხარის ორი გამოჩენილი პიროვნების: ივანე ჯავახიშვილისა (დაიბადა 1876 წ. 11 აპრილს) და გიორგი შატბერაშვილის (დაიბადა 1910 წ. 14 აპრილს) საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი გამოფენები. ორგანიზატორები -კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

ღონისძიებას უძღვებოდა მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი. მან მოკლედ მიმოიხილა ქართული ენის ისტორია და აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი თარიღია 1978 წლის 14 აპრილი ქართველი ერისათვის.

მშობლიური ენის მნიშვნელობასა და მის დაცვაზე ისაუბრა მუზეუმის განყოფილების გამგემ ნანა მერებაშვილმა. ღონისძიებაზე გაჟღერდა დედაენის ჰიმნი და პოეტ ირაკლი აბაშიძის მიერ წაკითხული ლექსი „ო, ენავ ჩემო". უჩვენეს 1978 წლის 14 აპრილის ამსახველი მიტინგის ვიდეო-კოლაჟი. საკუთარი ლექსი, "ენავ ქართულო" წაიკითხა მუზეუმის თანამშრომელმა ლანა მერებაშვილმა; შეკრებილ საზოგადოებას საბერძნეთიდან მიესალმა ემიგრანტი პედაგოგი იზოლდა ბერიანიძე.

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სიმღერისა და გალობის წრის (ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი) წევრებმა: ნინო შერმადინმა, რუსუდან თაბორიძემ, ელენე გოგიტიშვილმა, ხატია ხორგუაშვილმა, მაკა თათრიშვილმა, ქეთევან ქერდიყოშვილმა შეასრულეს „შენ ხარ ვენახი" და ღვთისმშობლის საგალობელი. მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი) მოსწავლეებმა: ნანა ილურიძემ, გიორგი ხუციშვილმა, ბარბარე ჩარაევმა, მარიამ კახიშვილმა და ნინო გაბოშვილმა მხატვრულად წაიკითხეს მშობლიური ენისადმი მიძღვნილი ლექსები. მოგონებებით გამოვიდნენ 1978 წლის 14 აპრილის მიტინგის მონაწილეები: მარინა მენაბდიშვილი, ლია ზარიძე, ლია სოზიაშვილი, ბადრი პატარიძე. აზრი გამოთქვეს: პედაგოგმა გულო გიგაურმა და ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა. ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა ქალბატონმა ეთერ ჩადუნელმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს. მოსწავლეებს გადასცა სამახსოვრო სიგელები და მათ წარმატებები უსურვა.

ინტელექტუალური თამაში „ჩვენი ენა ქართული„

კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების (დირექტორი ეთერ ჩადუნელი) საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში "ჩვენი ენა ქართული".

თამაში მომზადეს - კასპის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ, პედაგოგმა მარინა მენაბდიშვილმა და ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტმა ლიანა მენაბდიშვილმა.

თამაშის ჟიური: თეა ხორბალაძე - კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი; ნანა მერებაშვილი - გაზეთის "ახალი განთიადი" რედაქტორი; მაია ხარატიშვილი - პედაგოგი; გულო გიგაური - პედაგოგი; თამარ გურგენიძე - პედაგოგი.

თამაშში მონაწილეობდნენ კასპის საჯარო სკოლების გუნდები:

პირველი საჯარო სკოლა - "ლინგვა";

მეორე საჯარო სკოლა - "გალაკტონი";

მეოთხე საჯარო სკოლა - "ლაზარე".

გამარჯვება მოიპოვა გუნდმა "ლინგვა". გამარჯვებულ გუნდს და თამაშში მონაწილე ყველა მოსწავლეს გაერთიანების დირექციამ გადასცა სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

მონაწილეებს მიესალმნენ: ეთერ ჩადუნელი, თეონა ბეინაშვილი, ლია სოზიაშვილი, მაკა სომხიშვილი, თეა ხორბალაძე.

"ერთი ნაწარმოების ირგვლივ"

31 მარტს კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების (დირექტორი ეთერ ჩადუნელი) საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა თემატური საუბარი - დისკუსია "ერთი ნაწარმოების ირგვლივ". საუბარ - დისკუსზე წარმოდგენილი გახლდათ ნოდარ დუმბაძის მოთხრობა "ჰელადოს."

დისპუტს უძღვებოდა არბიტრი - ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტი ლია მენაბდიშვილი.

"ჰელადოს"-ის მიმოხილვით მოსწავლეთა წინაშე წარდგა კასპის მეოთხე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ინგა ქენქაძე. განხილვაში მონაწილეობდნენ კასპის საჯარო სკოლების მოსწავლეები. მოსწავლეები შეეხნენ ყველა იმ ძირითად თემას, რაც ამოიკითხეს ნოდარ დუმბაძის ამ კონკრეტულ ნაწარმოებში. მსჯელობა წარიმართა გულახდილად, უშუალოდ. მოსწავლეთა მსჯელობამ და აქტივობამ შეგვიქმნა დადებითი წარმოდგენა ჩვენი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ერუდიციასა და მსჯელობის კულტურაზე.

მოდის თაობა, რომელსაც აქვს სწორი ორიენტირები, ჯანსაღი სურვილები და ხელეწიფება, - შექმნას სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც მართებულად განსაზღვრავს სამშობლოს შემდგომ არსებობა - შენებას.

ამ ღონისძიებით გაერთიანებაში საფუძველი ჩაეყარა ინტერესთა კლუბის დაარსებას. ჩვენ შევთანხმდით დამსწრე საზოგადოებასთან, რომ მსგავსი შეხვედრები ჩატარდება რეგულარულად ყოველი თვის მეორე პარასკევ დღეს.

გაერთიანების სახელით მადლობას მოვახსენებთ კასპის საჯარო სკოლების დირექტორებს, პედაგოგებს და მოსწავლეებს თანამშრომლობისათვის.

სპორტ INFO

ჭაბუკმა ჩოხოსანმა მოჭიდავეებმა კასპში იასპარეზეს

კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი) მრავალპროფილურ საჭიდაო დარბაზში 2-კვირიანი ინტერვალით 2 დიდი საჭიდაო ასპარეზობა მოეწყო: მარტის ბოლოს – საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში (კადეტების, ჭაბუკებისა და ახალგაზრდებისათვის), რაზეც უკვე ვიუწყებოდით "ახალი განთიადის" მარტის სასპორტო გვერდში, და, აგერ, 8-9 აპრილს – საქართველოს პირველობა, ამჯერად, ქართულ ჭიდაობაში.

საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი) ეგიდით გამართულ პირველობაში თავი მოიყარეს ჭაბუკმა ჩოხოსანმა მოჭიდავეებმა (2006-08 წლებში დაბადებულებმა). გეოგრაფიული არეალის მხრივ ფართო გახლდათ მათი წარმომადგენლობითი მხარე: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ხაშური, გორი, ქარელი, თელავი, ახმეტა, გურჯაანი, საგარეჯო, მცხეთა. ზესტაფონი, ტყიბული, ცაგერი, წყალტუბო, რუსთავი, თეთრიწყარო, წყნეთი, წეროვანი...



პირველობა ორ დღეზე გადანაწილდა და ოთხ-ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშდა. ჩემპიონებს, ვიცე-ჩემპიონებსა და ორ-ორი მესამე ადგილის მფლობელებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის მედლები, დიპლომები და სასაჩუქრე ვაუჩერები.

კასპელი ჭაბუკების საერთო მონაგარი მოკრძალებულია: პირველ დღეს ჩემპიონი გახდა თემურ გოგრიჭიანი (46 კილოგრამამდე წონითი კატეგორია, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ალეკო ხიზამბარელმა (55 კგ.).

საინტერესოა, რომ ორივე მათგანი მარტში სამბოელთა შორისაც იყვნენ და მაშინ ორივე "ვიცეს" ტიტულს დასჯერდა...

კიდევ ერთი მედლის შესახებ: თბილისელმა ჭაბუკმა ლუკა ცხოვრებაშვილმა კასპის სახელით იჭიდავა (დედით აქაურია) პატივისცემის დასტურად და თემურთან ერთად იდგა კვარცხლბეკზე, ოღონდ, მესამე საფეხურზე.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის სექტემბერში სწორედ კასპში ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში პირველი მსოფლიო პირველობისწინა, შესარჩევი, ჭაბუკთა პირველობა (თვითონ მსოფლიო ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლა ოქტომბრის დასაწყისში).

ასე რომ, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისა და კასპის მუნიციპალიტეტისა და აქაური სპორტის მესვეურებს შორის საქმიანი ურთიერთთანამშრომლობა გრძელდება.

აი, ფაქტობრივი დასტურიც: ფედერაციის ხელმძღვანელობამ ამჯერადაც მადლობა მოუხადა წლევანდელი აპრილის პირველობის საორგანიზაციო მხარის უზრუნველყოფისა და საერთო მასპინძლობისათვის.

სასტარტო და საშინაო მატჩებში

საქართველოს წლევანდელი საფეხბურთო პირველობის ზედა ლიგების გუნდებმა თამაშები მარტის დასაწყისში დაიწყეს და რამდენიმე ტური მოილიეს. აი, რეგიონული ლიგის გათამაშებას კი სტარტი 10 აპრილს მიეცა. ამ დღეს ორშაბათი იდგა და საღამოხანს ისეთი წვიმა წამოვიდა, აშკარა იყო, კასპის სტადიონზე, გნებავთ, მასპინძელი გუნდი ("კასპი – 1936"), გნებავთ, სტუმრის როლში მყოფი (ხაშურის "ივერია") სათამაშო მარცხს თუ გადაურჩებოდა, ცივ შხაპს ვერსად დაემალებოდა. ჰოდა, აპრილურ ლუმპში ივერიელებმა ისეთნაირად გაილაღეს, პირველ ტაიმში გატანილ ერთ გოლს მეორეში სამიც დაამატეს და ეს სასტარტო გამარჯვება ნამდვილად უღირდათ დასველებად. მასპინძლებმა კი მხოლოდ ის შეძლეს, მატჩის მიწურულს საპრესტიჟო გოლით მცირედით გაეხარებინათ ადგილობრივი მაყურებელი. 1:4 – ასეთი ანგარიშით, აბა, რომელი გუნდი არ დამარცხებულა, მაგრამ დამაფიქრებელია საერთო წინასასეზონო მოსამზადებელი თამაშების სტატისტიკაც: გუნდმა მარცხი იწვნია ორივ საშინაო ამხანაგურ შეხვედრაში.

(პ. ს.: "კასპი – 1936"-მა 20 აპრილს მეორე ტურის მატჩიც საკუთარ მოედანზე ჩაატარა თბილისის "სულაქველიძის აკადემიის" გუნდთან და ... აქტივში 3 ქულა ჩაიწერა: ფრიად დაძაბულ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა ანგარიშით 2:1 (გოლების ავტორები არიან: პაპუნა პაპაშვილი, რომელმაც ეს მოახერხა პენალტის ზუსტი გარდასახვით და გიორგი უნგიაძე, ვინც პირველ თამაშშიც გამოირჩა გოლით).

2-2 მედალი – ქ. მარნეულიდან და მცხეთიდან

ქ. მარნეულში ჩატარდა საქართველოს პირველობა მოსწავლეთა შორის კრივში, კასპელი მოსწავლეებიდან წარმატებით გამოვიდნენ გიორგი მწითურიძე და ნიკა ბერიანიძე (მწვრთნელი – ოთარ თოიძე). პირველი მათგანი მხოლოდ ფინალურ ორთაბრძოლაში დამარცხდა და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა (75 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამომსვლელებში), ხოლო მეორე გავიდა მესამე საპრიზო ადგილზე (44 კგ.). მათ გადაეცათ შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

9 აპრილისადმი მიძღვნილ მემორიალური ხსოვნის პირველობას უმასპინძლა ქ. მცხეთის უმაღლესი დაოსტატების ჭიდაობის სკოლამ. იქ შეიკრიბნენ თავისუფალი სტილის მოსწავლე-მოჭიდავეები. კასპელი ვეტერანი მოჭიდავე და მწვრთნელი თემურ გაბოძე კმაყოფილია თავისი შეგირდების გამოსვლით: ჩემპიონობა დაიმსახურა (და პაპის გული გაახარა) დათო კობახიძემ (32 კგ-ში), ხოლო გივიკო ქებაძემ მეორე ადგილი დაიკავა (35 კგ-ში).

ხოვლეში ტატამი გაიშალა

არა, სოფელ ხოვლეში მოყვანილი ხილი, მათ შორის ატამი, მართლა განთქმულია, მაგრამ იქაურმა ატამმაც და ნუშმაც აპრილის დასაწყისში დაიყვავილა...

ამჯერად საჭიდაო ტატამზე მოგახსენებთ. განა ხოვლელ მოჭიდავეებსაც შორს არ გაუთქვამთ სახელი თავიანთი სპორტული მიღწევებით?! ძველები ხომ ჩაუქობდნენ და არც ახლანდელი თაობის ბიჭები არიან მაჩანჩალები!

ხოვლელი ბექა მიქუტიშვილი ის ვეტერანი მოჭიდავეა, ვისაც თავისი წილი გამარჯვების სიხარული განუცდია რაიონის სოფლების საჭიდაოებზე თუ შიდა საქვეყნო პირველობებში. აგერ, პირადი გამოცდილების გამოყენება განუზრახავს და მწვრთნელობა გადაუწყვეტია. კეთილი ჩანაფიქრის განხორციელებაში მას მხარში დაუდგნენ მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელები და საერთო თანადგომით შესაძლებელი გახდა საჭიდაო ტატამის გაშლა ხოვლის საჯარო სკოლის სასპორტო დარბაზში. ამიერიდან ხოვლელი ძიუდოზე შეყვარებული ბიჭები თავიანთივე საწვრთნელ-სავარჯიშო ჯგუფში იმეცადინებენ. აპრილის წინასაღდგომო დღეებში ხოვლური ტატამი უკვე 20-მდე მოზარდმა დააჭაშნიკა. მომდევნო დღეებში კი უკვე 30 იყვნენ. მალე იმდენი იქნებიან, ბექა–მწვრთნელს მათი დათვლა გაუძნელდება!

თელიანში – ხელოვნურსაფარიანი

სოფლად ახალგაზრდობის სპორტით დასაქმებისა და, საერთოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის გატარების თვალსაზრისით, სულ უფრო აუცილებელი ხდება სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მოგაწვდით მოკლე ინფორმაციას იმის თაობაზე, მუნიციპალიტეტის სოფლებში ამ კუთხით რა გაკეთდა შარშან და რა კეთდება ამჟამად:

2022 წლის განმავლობაში ხელოვნურსაფარიანი მარტივი ტიპის მოედნები მოეწყო 4 სოფელში – ოკამში, მეტეხში, ქვემო ჭალასა და ქვემო გომში; გარეგამოყენების ფიტნესური ტრენაჟორები კი უფრო მეტგან – ყარაფილაში, კოდისწყაროში, თვაურებში, ქვემო გომში, ქვემო ჭალაში, თეზში. ამასთან, მშვენიერი ღია საჭიდაო არენა დამონტაჟდა სოფელ ლამისყანაში.

გადაწყვეტილია, რომ წელს საჭიდაო დარბაზის მშენებლობისათვის საძირკველი გაიჭრება სოფელ დოესში.

აი, სოფელ თელიანში კი ამ გაზაფხულზე დაიწყო ხელოვნურსაფარიანი სასპორტო მოედნის მოწყობა. მისი საფარი ბეტონის ფენაზე დაიგება, მოედანი განათდება. ასე რომ, იქაურ ბავშვებს ფეხბურთისა და კალათბურთის თამაში საღამოობითაც შეეძლებათ.

“მამულო, სიცოცხლეო!”

ქასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში (მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი) მიმდინარე წლის 31 მარტს გაიმართა ღონისძიება “რწმენის გზა”. მხარეთმცოდნეობის წრის (მასწავლებელი ნანა მერებაშვილი) მოსწავლეებმა: ნანა ილურიძემ, უჩა გოგოლაძემ, ბარბარე ჩარაევმა, მარიამ კახიშვილმა, საბა წინამძღვრიშვილმა, ლაშა ქორთიაშვილმა, გიორგი და ლიზა ხუციშვილებმა, შანშე და ნინი ჩიტიშვილებმა იგი მიუძღვნეს საბჭოური პერიოდის რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნას. ცნობილია, რომ მაშინდელ ავბედით წლებს ვერ გადაურჩნენ ჩვენი რაიონის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: ინჟინრები, მეცნიერები, მწერლები, ქართული კულტურის მოღვაწენი, რომელთა შორის იყვნენ ვახტანგ კოტეტიშვილი – ფილოლოგი, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე და მოქანდაკე; გიორგი შატბერაშვილი – მწერალი, ქართული სიტყვის მოამაგე, პედაგოგი; დავით ნავროზაშვილი – თვითნასწავლი მხატვარი, პოეტი და მოქანდაკე.

მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ქართველი ერის სასიქადულო შვილების ბიოგრაფია და შემოქმედება. ბარბარე ჩარაევმა და უჩა გოგოლაძემ ინსცენირებით გააცოცხლეს სატრფიალო ლექსი “ქალ-ვაჟის სიყვარული ვაჟიკასი და ხვარამზისა” (ვ. კოტეტიშვილის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალებიდან). აპლოდისმენტები დაიმსახურეს გიორგი ხუციშვილმა და უჩა გოგოლაძემ, რომლებმაც წაიკითხეს დ. ნავროზაშვილის ლექსები “ერეკლე მეფის საფლავი” და “პაოლო და ტიციან”.

ღონისძიება სიმღერებით გაახალისეს კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტმა იზაბელა კობიაშვილმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სიმღერისა და გალობის წრის მასწავლებელმა ლალი კალატოზიშვილმა.

აღნიშნული აქტივობის თემატიკის გარშემო და შეფასების შესახებ აზრი გამოთქვეს: მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა კასპის მუნიციპალიტეტში, თადარიგის პოლკოვნიკმა ლავრენტი ბაიდაურმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტმა ლია ნიპარიშვილმა, კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა ხატია ხორგუაშვილმა, ქ. კასპის მეოთხე საბავშვო ბაღის გამგემ დალი კოტეტიშვილმა, ქ. კასპის მეოთხე საჯარო სკოლის პედაგოგმა გულო გიგაურმა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერმა ლელა პეტრიაშვილმა, ღონისძიების ბოლოს, მოსწავლეებს სამახსოვრო სიგელები გადასცა და წარმატებები უსურვა. ასევე, მადლობა მოახსენა მუზეუმის დირექტორს გიორგი ჩადუნელს და მის თანამშრომლებს დოკუმენტური მასალების მოწოდებისა და ფოტოკოლაჟის მომზადებისათვის, ხოლო მერიის თანამშრომლებს კობა მამულაშვილსა და გიორგი კახიშვილს – ღონისძიების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფისათვის.

2023 წლის მაისის დამდეგს კასპის კულტურის ცენტრში დიდ საკონცერტო პროგრამას წარმოადგენენ აქაური ცნობილი მომღერალი ოჯახები. ზოგიერთი მათგანი ჯერაც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში მონაწილეობდა სხვადასხვა გასარობ-საჩვენებელ ღონისძიებაში, მაგრამ ერთ სცენაზე, ერთ დარბაზში, საერთო საპროგრამო წარმოდგენა არასოდეს გაუმართავთ. ამდენად, წლევანდელი აქტივობა მრავალმხრივ საინტერესო და მოულოდნელ სიახლეს გვპირდება. სამაისო საოჯახო გალა-კონცერტი გაიმართება კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ეგიდით (უფროსი თეა ხორბალაძე), ხოლო ინიციატორია ზაზა მენაბდიშვილი – კასპში კარგად ცნობილი მუსიკოს-შემსრულებელი: სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ლოტბარი, პედაგოგი. იგი გახლავთ იმ საგვარეულო მუსიკალური დინასტიის წარმომადგენელი, რომლის ექვსი თაობისათვის ქართული ტრადიციული და ფოლკლორული სიმღერა განუყრელ ცხოვრებისეულ თანამგზავრად გადაქცეულა.

“ახალი განთიადის” მეშვეობით დროდადრო შემოგთავაზებთ კასპელი მენაბდიშვილების საგვარეულო დინასტიის თაობათა მუსიკალური ამბების ისტორიულ სურათს (ბატონი ზაზას მოგონებათა მიხედვით პირველი ჩანაწერი გაკეთებულია 2021 წლის სექტემბერში).

***

✦ ზაზა მენაბდიშვილი: – გვარის წინაპრები მიჩნეული არიან ძირძველ კასპელებად. რამდენიმე მათგანი დასაფლავებულია კასპის ძველ სასაფლაოზე, კვირაცხოვლის ეკლესიასთან. გადმოსახლებული კი, სავარაუდოდ, სოფელ ნადარბაზევიდან იყვნენ. იქიდან

მომღერალი ოჯახები

მენაბდიშვილები: სიმღერა – ერჯული თაობის თანამგზავრი

ერთი ჯგუფი გორისაკენ წასულა და იქ დასახლებულა, მეორემ კი საცხოვრისად კასპი აირჩია. ეს საუკუნეების წინ მომხდარა.

კასპში საგვარეულოში დაიძებნება რამდენიმე შტო: ნანაანი, ნაზარაანი, კვრინჩხიაანი, კუწულაანი, პაჭიაანი... და, რა თქმა უნდა, ჩვენი – მენაბდიაანი.

გვარში არაერთი ცნობილი ადამიანი მოგვეთვლება – ალექსანდრე მენაბდიშვილი, ელგუჯა მენაბდიშვილი, ვალიკო მენაბდიშვილი, კარლო მენაბდიშვილი...

გვარის წინაპარი გახლდათ გიორგი მენაბდიშვილი. იგი ძველ კასპში ცხოვრობდა, თევდორე ტირონის ეკლესიასთან. გადმოცემის თანახმად, დაჯილდოებული იყო სიმღერის

ბუნებრივი ნიჭით. ერთი ისტორიული ამბავი დღემდეა შემონახული ალექსანდრე მენაბდიშვილის მიერ:

– 1950-იანი წლების ბოლოს, როცა ალექსანდრე სტუდენტი იყო, ჯერ სახელმწიფო კონსერვატორიაში, შემდეგ კი თეატრალური ინსტიტუტის მუსკომედიის ფაკულტეტისა, ერთ-ერთი კასპელის ოჯახში მოხვდა მექორწილეთა შორის. ბევრ კასპელს სმენოდა რა მისი სასიმღერო მონაცემების შესახებ, სთხოვეს:

– აბა, შაქროს ბიჭო, შენებურად რამე გვიმღერე!

შაქროს ბიჭმა მექორწილე მუსიკოსების დასტის წევრებს გახედა. მათ თავი დაუქნიეს დასტურის ნიშნად.

და მაშინ კასპელმა სტუდენტმა მენაბდიშვილმა დიმიტრი არაყიშვილის “ურმული” იმღერა... არა, მღერა ჯერაც არ დაესრულებინა, როცა ერთმა ხანდაზმულმა სტუმარმა, 90 წელს გადაცილებულმა ხელჯოხიანმა კაცმა, მასპინძელი მიიხმო თავისთან და ჰკითხა:

– ვისია ეს ყმაწვილკაცი?!

უპასუხეს, – შაქრო მენაბდიშვილის ვაჟი გახლავთო!

– ანუ, დიდი გიორგის შვილიშვილია?

– დიახ, ჩვენო ბატონო! – მიაგეს პასუხი და დიდად აამეს. მერე კი, სიმღერის დასრულებისთანავე, მოხუცი მას მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა და მიეფერა:

– რა კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ... მაგრამ რატომ ეგრე კნავიხარ? შენ რომ შენი პაპისთვის მოგესმინა, ისეთი ომახიანი სიმღერის ხმის პატრონი ბრძანდებოდა, გიორგი მენაბდიშვილის ნამღერი ერთი სოფლიდან მეორეს გადასწვდებოდა!

... შემდგომში ალექსანდრე მენაბდიშვილი ამ ამბავს როცა იგონებდა, სახეზე

მუდამ ღიმილს გადაიფენდა ხოლმე:

– მოხუცისმიერმა ორაზროვანმა შექებამ დამაბნია, თუმცა, ვგონებ, ჩემთვის ეს უფრო მეტად კომპლიმენტი იყო, ვიდრე ახალგაზრდის შეურაცხყოფა!..

***

✦ გიორგი მენაბდიშვილს, თავის დროზე, თავადი ამილახვრების კარზე იწვევდნენ სასიმღეროდ, დიდ-დიდი და საპატიო სტუმრების წინაშე თავმოსაწონებლადა და გასაამაყებლად.

კასპის მუზეუმში დაცულია საგაზეთო პუბლიკაცია, სადაც ნათქვამია, რომ 1888 წელს თავად ამილახვრებს თავიანთ სასახლეში (რომელიც შემდგომში საჩუქრად გადასცეს სკოლას) საშობაო საღამოზე სოფლის ბავშვებიც მიუწვევიათ და უხვადაც დაუსაჩუქრებიათ. ოღონდ, მანამდე, საშობაო საკონცერტო ნაირგვარი ნომრები შეუსრულებიათ პატარა კასპელებს – ღვინიაშვილებს, გზირიშვილებს, ყაზარაშვილებს, ნონიაშვილებს, მერებაშვილებს... და იქვე მინიშნებულია, – და-ძმა მენაბდიშვილებმა, სავარაუდოდ, გიორგის უფროსმა შვილებმა – ვანომ და ვარვარამ – საშობაო საღამო კიდევ ერთხელ (!) გაახალისესო მშვენიერი ნამღერით!

(პირველი ნაწილის დასასრული).

ქალაქის სასაფლაოზე მისასვლელი ქუჩა

კასპში, ქალაქის სასაფლაოზე მისასვლელ გურამიშვილის ქუჩაზე, შპს "ქვენიფლენმა" ასფალტის პირველი ფენა დააგო. კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, ადგილობრივი თვითმართველობის ხელმძღვანელებთან ერთად ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

როგორც მერმა აღნიშნა, ქუჩაზე არსებული დაზიანებული მონაკვეთები გადაადგილებისას პრობლემას ქმნიდა.

ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მოსახლეობის მხრიდან იყო მოთხოვნა, მერიამ თხოვნა გაითვალისწინა და მალე გურამიშვილის ქუჩით მოსარგებლეები გადაადგილებას კეთილმოწყობილი ქუჩით შეძლებენ - განაცხადა ვახტანგ მაისურაძემ.

ცვლილებები ნობათი

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ 362 ოჯახს საღდგომო ნობათი გადასცა.

მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი სოფელ თელიანსა და მეტეხში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებს ეწვივნენ. ისინი აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის სასურსათო ნობათის გაცემის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ და დღესასწაული წინასწარ მიულოცეს.

ვახტანგ მაისურაძემ, ზურაბ კოპაძემ და შოთა ბეგლარაშვილმა საღდგომო ნობათი უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს ბინაზე მიუტანეს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ირაკლი დემეტრაშვილი – საუკეთესო მეიპონე

20 წლის ირაკლი დემეტრაშვილმა პირველად იჭიდავა თბილისის "დიდი სლემის" ძიუდოისტთა ტურნირში, რომელიც საქართველოს დედაქალაქში ა. წ. 24–26 მარტს ჩატარდა. ირაკლიმ იქსულ ორი ორთაბრძოლა გადაიხადა. მართალია, მეორეში დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა, მაგრამ პირველში მეტოქე ისეთი ულამაზესი ილეთით დაამარცხა, მისმა საიპონე გდებამ სპეციალისტებიც მოხიბლა.

მეტიც, მისეული იპონი საუკეთესოთა რეიტინგში მოხვდა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურმა ფანკლუბმა, რომელიც თბილისური ტურნირის სტატუსისა და პოპულარობის მრავალმხრივი ხელშემწყობია, საგანგებოდ დააწესა პრიზები "საუკეთესო იპონის შესრულებისათვის" (საშეჯიბრო სამივე დღისათვის). დაჯილდოების საკითხი და ცერემონია ("გრანდ სლემის" ძირითადი, ოფიციალური ნაწილის გარდა) შეთანხმებული იყო როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო ძიუდოს ფედერაციებთან.

სპეციალური პრიზები და დიპლომები ექვს მოჭიდავეს გადაეცა. მათგან – მძიმე წონაში (+100 კგ.) გამარჯვებულ გელა ზაალიშვილსა და ასევე, ირაკლი დემეტრაშვილს.

,,ახალი გვნიადლი,, იძიებს ცალიერებლი ცუ-ლებიებს ლალონის ცალგზეთი ფოტო-მასალის შეცვალბლელად. მოგმართავთ თხოვნით - და-ტოვეთ თქვენი ყველი მასალაში! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლი ფოტოები!

ДЕДИУРЕБИ

"ფარდის მიღმა" ვარსკვლავზე

ერთი წელი შესრულდა, რაც კასპში შეიქმნა საყმაწვილო თეატრი "ფარდის მიღმა". კეთილი საქმე სასურველად გაასცენურა მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურმა (უფროსი თეა ხორბალაძე). საბავშვო დასმა შარშანდელი აპრილიდან რეპეტიციები დაიწყო კასპის კულტურის ცენტრის (დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი) სცენაზე. მისი რეჟისორია პროფესიონალი მსახიობი, ქ. რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის წევრი ეკატერინე ქვრივიშვილი.

კასპის საყმაწვილო თეატრმა 2022 წლის 10 დეკემბერს კასპის კულტურის სახლის სცენაზე პრემიერა გამართა, წარმოადგინა ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით შექმნილი თეატრალიზებული დადგმა "სამშობლოს არვის წავართმევთ..."

2023 წლის თეატრალური სეზონი დასმა 24 მარტს გახსნა – იგივე სპექტაკლით, იმავე სცენაზე. აი, 30 და 31 მარტს კი შინაურულ კედლებს გასცდა და სადებიუტო შემეცნებით-საჩვენებელი პროგრამით წარდგა ქ. რუსთავის მეორე და მეოცე საჯარო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის დაბა ვაზიანის პირველ საჯარო სკოლებში (ორ დღეში ოთხი სპექტაკლი! – როგორია?! მეოთხე ჩვენება ვაზიანშივე გამართა სოფელ გამარჯვების სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის).

მიმდინარე წელში საყმაწვილო თეატრი ორი სასიხარულო, მაგრამ ფრიად საპასუხისმგებლო ამბისათვის ემზადება:

– 2023 წლის ივნისში "ფარდის მიღმა" მიწვეულია ქ. ათენში (საბერძნეთი), სადაც 23-25 ივნისს მონაწილეობას მიიღებს "დიონისეს" ფესტივალში და გამოვა ქართველი ემიგრანტების წინაშე;

– დაწყებულია რეპეტიციები მეორე სპექტაკლის მოსამზადებლად. ქალბატონი ეკატერინეს თქმით, ეს იქნება კომედიური ჟანრის კლასიკური წარმოდგენა, რომელიც ინტერპრეტირდება ანტონ ჩეხოვის პიესების ("დათვი" და "ხელის თხოვნა") მიხედვით.

... ასე რომ, ჩვენი ქალაქის საყმაწვილო თეატრი "ფარდის მიღმა" სულ უფრო აქტიურად და გაბედულად გამოდის ფარდის წინ.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწებულებების გაერთიანება.

ვიმეგობროთ! ვიმეგობროთ! ვიმეგობროთ!

ძვირფასო პატარებო, კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე რაზე საუბრობდა მშობლებს სასურველ სწავლიათ...

თქვენ ახლა გაწილებით ბევრი იწით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო, საიამოვნო და სახალისო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ტრანქიონებზე, გადამალულ და ჯერ ვერ მოძიებულ საგანძურზე, მეზღვაპრეებზე...

მაგრამ ასე, გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაელოდეთ პასუხს.

შეხვედრამდე!

ვიმეგობროთ!

,,კეხურა,,

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76